24

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

935 წ. ოქტომბრის 15. № 24 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

8. სასოფლო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების დებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების 86 მუხლის შეცვლისა და ზოგიერთი მუხლის გაუქმების შესახებ.

ებულება სასოფლო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

128 დადგენილება ც.ა.კ.

ოფლო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების დებულების დამტკიცებისა და ქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების 86 მუხ. შეცვლისა და ზოგიერთი მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ თელ ტერიტორიაზე ქვემომდევნო დებულება სასოფლო საბჭოების სადეპუ-ატო ჯგუფების შესახებ.

2. საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების 86 მუხ. (საქ. სსრ ან. კრ. 1932 წლ. მე-9 №-ი, მუხ. 66; 1934 წ. მე-27 №-ი, მუხ. 206) მიღებულ ქნასშემდეგი რედაქციით:

„86. კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო ადგურში, საწარმოში და ცალკეულ სოფელში, რომლებიც სასოფლო საბჭოს ერიტორიაზე იმყოფება, ეწყობიან სადეპუტატო ჯგუფები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადეპუტატო ჯგუფები ეწყობიან და მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე".

3. საქ. სსრ სასოფლო საბჭოების დებულების 83—85 და 87—90 მუხლები გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ელენტი.

1935 წ. ივნისის 14. № 68.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო-საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების შესახებ.

1. სადეპუტატო ჯგუფების ორგანიზაცია.

1. სასოფლო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფები არის სასოფლო საბჭოების ძირეული უჯრედები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, საწარმოებში და ცალკეულ სოფლებში. ამ უჯრედების მეშვეობით სასოფლო საბჭოები რაზმავენ დეპუტატთა გარშემო მოწინავე კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობათა და სხვათა დამკვრელების აქტივს საწარმოო დავალებათა უკეთესად შესრულებისათვის საბრძოლველად, მშრომელთა კულტურული და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა ჩასაბმელად.

2. სადეპუტატო ჯგუფები ეწყობა ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, საწარმოში, ტყის დასამუშავებელ წარმოებაში და სხვ., რომლებიც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იმყოფება, თუ იქ არის საბჭოს თუნდაც ერთი წევრი ან კანდიდატი.

დიდრონ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სამრეწველო საწარმოებში სადეპუტატო ჯგუფი შეიძლება მოეწყოს მუდმივ საწარმოო ბრიგადებში, სარძეო-სასაქონლო ფერმებში და საწარმოო უბნებში (განყოფილებებში).

სადეპუტატო ჯგუფი ეწყობა აგრეთვე ცალკეულ სოფლებში, თუ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 50-ზე ნაკლები არ არის და სოფელში არის თუნდაც ერთი დეპუტატი ან კანდიდატი, და თუ ამასთანავე კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ამა სოფლის გლეხური მეურნეობების არა უმეტეს ნახევრისა.

იმ სოფელში, რომელიც სასოფლო საბჭოს ცენტრია, სასოფლო სადეპუტატო ჯგუფი არ ეწყობა.

3. იმ სადეპუტატო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც ეწყობა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში და საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოში, შედიან უწყებული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და საწარმოს მომუშავე: სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები, სასოფლო საბჭოს სექციების წევრები, სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრები და კანდიდატები, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და კანდიდატები, სახალხო მსაჯულები, საამხანაგო სასამართლოების წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ძირეული მასობრივი უჯრედების წევრები და სხვ..

იმ სადეპუტატო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც ცალკეულ სოფლებში ეწყობა, შედიან ამ სოფელში მცხოვრებნი სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები და კანდიდატები, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წევრები და კანდიდატები და საბჭოთა აქტივი (სექციების წევრები და სხვ.).

4. სადეპუტატო ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

სადეპუტატო ჯგუფის სხდომაზე ყველა მისი წევრები სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5. სადეპუტატო ჯგუფის მუშაობის სახელმძღვანელოდ ჯგუფის საერთო კრება ირჩევს თავმჯდომარეს, რომელსაც ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

II. სადეპუტატო ჯგუფების ამოცანები.

6. სასოფლო საბჭოს სადეპუტატო ჯგუფები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ანხორციელებენ შემდეგ ამოცანებს:

ა) მასობრივი მუშაობის გატარება ერთპიროვნულ მეურნეობათა კოლმეურნეობებში ჩასაბმელად;

ბ) კულაკურ-კაპიტალისტური კლასების ნაშთებისა და სხვა კლასობრივად უცხო ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა;

გ) სოფლის კულტურის ამაღლება და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება; სასოფლო საბჭოსთვის დახმარების გაწევა იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რომლებიც შეეხება კეთილმოწყობას, საგზაო მშენებლობას, წყლის მიწოდებას და სხვ.;

დ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მიერ სასოფლო საბჭოს და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებისათვის მეთვალყურეობა;

ე) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება;

ვ) საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა;

ზ) პარტიული და საბჭოთა კონტროლის კომისიებისათვის ხელის შეწყობა;

თ) ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში და რევოლუციონური წესრიგის დაცვაში მონაწილეობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) ქალთა შორის მუშაობის წარმოება, სოფლის საზოგადოებრივ ცხოვ- მეურნეო მუშაობაში ქალთა დაწინაურებისათვის ხელის შეწყობა სადეპუტატო ჯგუფებში მათი ჩაბმის საშუალებით.

7. ის სადეპუტატო ჯგუფები, რომელნიც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და საწარმოებში არიან მოწყობილი, გარდა 6 მუხლში აღნიშნული ამოცანებისა, ახორციელებენ კიდევ შემდეგ ამოცანებს:

ა) მუშებისა და კოლმეურნეების საბრძოლველად დარაზმვა კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, საწარმოო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საუკეთესოდ და დროულად შესრულებისათვის;

ბ) აქტიური მონაწილეობა დამკვრელი ბრიგადების მოწყობაში და მუშაობაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, და აგრეთვე შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის ბრძოლაში;

გ) მუშებისა და კოლმეურნეების დარაზმვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისათვის;

დ) ღონისძიებების გატარება კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშების კულტურული და მატერიალური-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება იმ დაწესებულებათა მუშაობაზე, რომლებიც ამ მომსახურეობას აწარმოებენ;

ე) სათავდაცვო მუშაობაში აქტიური მონაწილეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში და სხვ.

8. მათზე დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით სასოფლო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფები:

ა) მონაწილეობას იღებენ საწარმოო გეგმების დამუშავებაში და თვალყურს ადევნებენ მათ შესრულებას;

ბ) ახდენენ თავიანთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვ. გამოკვლევას, აგრეთვე მონაწილეობას იღებენ სხვა ორგანოების მიერ მოხდენილ გამოკვლევაში, ისმენენ თავიანთ სხდომებზე მოხსენებებს სათანადო კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვათა მუშაობის შესახებ და გამოაქვთ დადგენილებები ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ;

გ) შეაქვთ სასოფლო საბჭოში, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და სხვ. ხელმძღვანელ ორგანოში წინადადებანი იმ საკითხების გამო, რომლებიც სადეპუტატო ჯგუფების გამგებლობას ეკუთვნის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) აწყობენ მოხსენებებს სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ კოლმეურნეთათვის, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და სხვ. მომუშავეთათვის;

ე) აწყობენ სასოფლო საბჭოს წევრთა და პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობას საწარმოო უბნებში, მუდმივ საწარმოო ბრიგადებში, ქოხ-სამკითხველოებში და სხვ., საჩივრების და განცხადებების მიღებას და მათთვის სათანადო მიმართულების მიცემას;

ვ) რეგულარულად აწვდიან ამომრჩევლებს ცნობებს განაწესების შესრულებისა და სასოფლო საბჭოს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა ორგანოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ.

III. სადეპუტატო ჯგუფების მოქმედების წესი.

9. სადეპუტატო ჯგუფების ხელმძღვანელობას ახორციელებს სასოფლო საბჭო, რომელსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

10. სადეპუტატო ჯგუფი ატარებს თავის მუშაობას გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებულ იქნება სასოფლო საბჭოს გეგმის შესაბამისად, და აგრეთვე კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან იმ სხვა სამეურნეო ორგინიზაციის გეგმის შესაბამისად, რომელთანაც იგი მოწყობილია.

11. სადეპუტატო ჯგუფები ამყარებენ მჭიდრო კავშირს სასოფლო საბჭოს სექციებთან, ხელს უწყობენ მათ მუშაობას, აბამენ ამ მუშაობაში კოლმეურნეების და მუშების ახალ ფენებს, საჭირო შემთხვევაში აყენებენ სექციების წინაშე კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის, სოფლის და სხვ. საწარმოო ცხოვრების და კოლმეურნეების, მუშების და ერთპიროვნული მეურნეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ყველა საკითხს, და იღებენ სექციებისაგან დახმარებას და მითითებას.

12. სადეპუტატო ჯგუფები თავის მუშაობას უკავშირებენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას (პროფკავშირები, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, პროკურატურის დამხმარე უჯრედები და სხვა.).

13. არ შეიძლება სადეპუტატო ჯგუფების მიერ საადმინისტრაციო ფუნქციების მითვისება, აგრეთვე მათ არ შეუძლიათ გასწიონ საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოების მაგიერობა ან შეამცირონ მათი როლი და პასუხისმგებლობა.

14. ყველა თავის გადაწყვეტილებას და წინადადებას სადეპუტატო ჯგუფები ახორციელებენ სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ კოლმეურნეობის გამგეობა ან სამეურნეო ორგანიზაციის ადმინისტრაცია უარს იტყვის სადეპუტატო ჯგუფის გადაწყვეტილების შესრულებაზე, სადეპუტატო ჯგუფი გადაიტანს საკითხს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმში.

15. სადეპუტატო ჯგუფი თავის მუშაობის ანგარიშს აბარებს, როგორც სათანადო საბჭოს, ისე უწყებული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სოფლის და სხვათა ამომრჩევლების კოლექტივს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ივნისის 14.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 47. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 3/4 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 14/VIII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X; ტირაჟი 2000.

მთავლ. რწმ. № ა-3936. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1233